სოლიდარობის ფონდის საქმიანობის IV პერიოდული ანგარიში

2015 წლის 6 მარტი

თქვენი დახმარებით უკვე 70 ბავშვისა და ახალგაზრდის მკურნალობა დაფინანსდა

ქალბატონებო და ბატონებო,

პატივი გვაქვს წარმოგიდგინოთ საქართველოს სოლიდარობის ფონდის მორიგი ანგარიში, რომელიც ასახავს თქვენი დახმარებით მიღწეულ უმნიშვნელოვანეს შედეგებს. რიგით მე-4 პერიოდული ანგარიში **2014 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 28 თებერვლის ჩათვლით** მობილიზებული თანხებისა და ფონდის მიერ მხარდაჭერილი ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ დეტალურ ინფორმაციას მოიცავს.

დღეისათვის **სოლიდარობის ფონდში მონაწილეობის სურვილი უკვე ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 240 საჯარო სამსახურის 40,000-ზე მეტმა თანამშრომელმა, ათასობით მოქალაქემ და 16 კერძო კომპანიამ დაადასტურა.** შედეგად, ფონდში რეგულარულად, **ყოველთვიურად მობილიზებული თანხა 2014 წლის ივლისთან შედარებით 8 ½ ჯერ გაიზარდა და დღეისათვის 264,000 ლარს შეადგენს.**

დღევანდელი მონაცემებით სოლიდარობის ფონდში **საერთო ჯამში 2 120 000 ლარი იქნა ჩარიცხული, რომლის ფარგლებშიც 1 757 000 ლარის ფინანსური მხარდაჭერა უკვე დამტკიცებულია 70 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის.**

თქვენი მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა

- **21 წლის ასაკის ჩათვლით ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ფინანსური პრობლემის გადაჭრა საქართველოს მასშტაბით. არც ერთი ბავშვი და ახალგაზრდა 21 წლის ასაკის ჩათვლით, რომელიც ონკოლოგიური დაავადების წინაშე აღმოჩნდება არ რჩება ჩვენი დახმარების გარეშე - ფონდში 28 თებერვლის ჩათვლით შემოსული 70-ვე პროფილური განცხადება უკვე დამტკიცებულია.**

- **სოლიდარობის ფონდმა 70 ბავშვისა და ახალგაზრდის დაფინანსება 1 757 000 ლარით დაამტკიცა.** თქვენი დახმარებით 44 პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობა საქართველოში დაფინანსდა, ხოლო 26 - გერმანიის, თურქეთის, ისრაელის, იტალიისა და საფრანგეთის კლინიკებში.

- **თქვენივე მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა კერძო სექტორის მზარდი ჩართულობისათვის ძლიერი საფუძვლების შექმნა.** საჯარო მოხელეების მიერ სოლიდარობის ფონდისათვის შექმნილი პლატფორმის გარშემო უკვე გაერთიანდა 16 ორგანიზაცია:

საქართველოს სოლიდარობის ფონდს უკვე შემოუერთდა 16 კომპანია და ორგანიზაცია

- „ლიბერთი“ ბანკი
- „საქართველოს ბანკი“
- კომპანია „ყაზტრანსგაზი“
- „პრივატ ბანკი“
- მთის კურორტების განვითარების სააგენტო
- კომპანია Gulf
- სამედიცინო ცენტრი „ლანცეტი“
- „რაკია ჯგუფის“ 3 კომპანია „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი“, „რაკიინ დეველოპმენტი“, „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“
- კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
- ტელეკომპანია „იმედი“
- კომპანია Eastern Promotion
- საზოგადოებრივი მაუწყებელი
- მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია
- კომპანია GINO Paradise

დღეისათვის განხილული და დაფინანსებული განცხადებები

- 2015 წლის **28 თებერვლის მდგომარეობით** საქართველოს სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედმა **კომისიამ 12 სხდომა გამართა,** რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა **101 პაციენტის განცხადება.** სოლიდარობის **ფონდის მუდმივმოქმედი კომისიის წევრები** წარმოდგენილი არიან სახელმწიფო სტრუქტურების (მთავრობის ადმინისტრაციის, ჯანდაცვის, ფინანსთა, კულტურის სამინისტროებისა და ქალაქ თბილისის მერიის), კერძო სექტორის, საერთაშორისო (გაეროს, მსოფლიო ბანკისა და აშშ საელჩოს წარმომადგენლები) და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

- ფონდის კომისიის მიერ განხილული **101 განცხადებიდან 72 აპლიკაცია იყო პროფილური** - ანუ 21 წლის ასაკის ჩათვლით ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებისა და მათი ოჯახების მიერ წარმოდგენილი. **72 პროფილური განცხადებიდან 70 განცხადება კომისიამ დაამტკიცა, ხოლო 2 აპლიკაციაზე მიიღო პრინციპულად დადებითი გადაწყვეტილება.** აღნიშნულ 2 განცხადებაზე წარმოსადგენია დამატებითი ინფორმაცია, რის შემდგომაც კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

- საერთო ჯამში განხილული 101 განცხადებიდან **არ დაკმაყოფილდა 29 აპლიკაცია, რამდენადაც არ შეესაბამებოდა ფონდის მიერ განცხადებულ დიაგნოსტიკურ და ასაკობრივ კრიტერიუმებს.**

- **ფონდმა 70 პაციენტიდან 44 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკა და მკურნალობა საქართველოში დააფინანსა** (ქიმიო-თერაპია, ონკო-ქირურგია, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევები და სხივური თერაპია). **26 ბავშვი და ახალგაზრდა კი დაფინანსდა გერმანიის, თურქეთის, ისრაელის, იტალიისა და საფრანგეთის კლინიკებში ისეთი სამედიცინო მომსახურების მისაღებად, რაც საქართველოში დღეისათვის ვერ ტარდება** ან ექსპერტული შეფასებით საზღვარგარეთ სამედიცინო სერვისის მისაღებად კონკრეტული არგუმენტაცია არსებობს (ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, პედიატრიულ ასაკში სხივური თერაპია, ქირურგიული ოპერაციები). **ცხრილის სახით წარმოგიდგენთ ფონდის მიერ დამტკიცებული 70 ბენეფიციარის ასაკობრივ და დიაგნოსტიკურ პარამეტრებს** ფონდის მიერ დამტკიცებული თანხების დეტალურ ანგარიშთან ერთად.

	პაციენტის მონაცემები		დიაგნოზი ფორმა #100-ის მიხედვით	მკურნალობის საერთო ღირებულება	ფონდიდან მოთხოვნილი და დაფინანსებული თანხა
	ასაკი	სქესი და სოც. სტატუსი			
საზღვარგარეთ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით დაფინანსებული აპლიკაციები					
1	1 წლის	მდედ.	ქვედა ქუთუთოს წარმონაქმნი (ჰემანგიომა) - საქართველოში ქირურგიული ოპერაციის ჩატარებაზე პაციენტს უარი ეთქვა და გადაყვანილ იქნა თურქეთში	13 440 ევრო	8 440 ევრო (თურქეთი)
2	1 წლის	მამრ.	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა - მარჯვენა მხრის მიდამოს რბილი ქსოვილების სარკომა. საზღვარგარეთ დაფინანსდა სამედიცინო დოკუმენტაციისა და მრტ კვლევის ანალიზი ლოკალური თერაპიის შემდგომი განსაზღვრის მიზნით	300 ევრო და 13 157 ლარი	300 ევრო (გერმანია) და 9652 ლარი ქიმიო-თერაპიისათვის (საქართველო)
3	1 წლის	მდედ.	მეორადი თრომბოციტოპენია, დაუზუსტებელი გენეზის - დიაგნოზის დაზუსტების მიზნით დაფინანსდა დიაგნოსტიკური კომპონენტი	34 600 აშშ დოლარი	10 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
4	1 წლის	მდედ.	დაუზუსტებელი დიაგნოზის მოცულობითი წარმონაქმნი, საზღვარგარეთ დადგინდა ტერატომა - საზღვარგარეთ დიაგნოსტიკა და ქიმიოთერაპია	150 000 აშშ დოლარი	9 000 აშშ დოლარი (მხოლოდ დიიაგნოსტიკის კომპონენტი)
5	2 წლის	მდედ.	ავთვისებიანი ჰისტიოციტოზი - დიაგნოზის დაზუსტების მიზნით დაფინანსდა დიაგნოსტიკის კომპონენტი და ადგილზე გადაუდებელი ქიმიოთერაპია მედიკამენტით, რომელიც საქართველოში არ არის რეგისტრირებული	29 200 აშშ დოლარი	16 200 აშშ დოლარი (თურქეთი)
6	3 წლის	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნის პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია და ქიმიოთერაპია საქართველოში	18 000 ევრო და 2003 ლარი	14 000 ევრო (თურქეთი) და 727 ლარი ქიმიოთერაპიისათვის (საქართველო)
7	3 წლის	მდედ.	ქორიოიდალური გარსის (თვალის გარსის) ავთვისებიანი სიმსივნე (რეტინობლასტომა ან ჰამარტრომა) ბადურის მეორადი ჩამოშლით. თანადაფინანსება დიაგნოსტიკასა და ქირურგიული ჩარევაზე, რომელიც საქართველოში ვერ ტარდება.	27,250 აშშ დოლარი	17,250 აშშ დოლარი (თურქეთი)
8	4 წლის	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნე (ეპენდიმომა II), პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია	17 930 ევრო	9 930 ევრო (თურქეთი)
9	4 წლის	მამრ.	თანდაყოლილი ნეიტროპენია, აგრანულოციტოზი - ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია	160 000 აშშ დოლარი	120 000 აშშ დოლარი (თურქეთი), მიღებულია პრინციპული თანხმობა, მიმდინარეობს დონორის ძიება
10	4 წლის	მდედ.	იუნგის სარკომა (ძვლის ავთვიასებიანი სიმსივნე) - თავდაპირველად მკურნალობას გადიოდა თურქეთში, დინამიკის შესაფასებლად დაფინანსდა დიაგნოსტიკური ინტერვენცია, რომელიც ვერ ტარდება საქართველოში	1 635 ევრო	1 635 ევრო (თურქეთი)
11	4 წლის	მამრ.	ჰოჯკინის ლიმფომა - სხივური თერაპია	32 685 აშშ დოლარი	32 685 აშშ დოლარი სხივური თერაპია (თურქეთი)
12	5 წლის	მდედ.	თვალბუდის ავთვისებიანი სიმსივნე - დიაგნოსტიკა საზღვარგარეთ სიმსივნის აგრესიული განვითარების გამო და ქიმიოთერაპია საქართველოში	3 300 ევრო და 1125 ლარი	3 300 ევრო (თურქეთი) და 347 ლარი ქიმიოთერაპიისათვის (საქართველო)
13	5 წლის	მამრ.	თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე, მედულობლასტომა - სხივური თერაპია საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში	25 000 ევრო და 10 080 ლარი	25 000 ევრო სხივური თერაპია (თურქეთი) და 7 615 ლარი ქიმიოთერაპიისათვის (საქართველო)

14	5 წლის	მდედ. სოციალურად დაუცველი	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა - პაციენტი დავალიანების გამო ვეღარ იგრძელებდა მკურნალობას თურქეთის კლინიკაში, სადაც ბავშვს ჩაუტარა ღვიძლის ტრანსპლანტაცია და სადაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა დინამიკაში პაციენტის მდგომარეობის შეფასებასა და მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრას	15 000 აშშ დოლარი	15 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
15	6 წლის	მამრ.	ალვეოლარული რაბდომიოსარკომა - სხივური თერაპია საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში	15 000 აშშ დოლარი და 7809 ლარი	15 000 აშშ დოლარი სხივური თერაპიისა (თურქეთი) და 6591 ლარი ქიმიო-თერაპიისათვის (საქართველო)
16	8 წლის	მამრ.	თავის ტვინის პარკუჭების ავთვისებიანი სიმსივნე - სხივური თერაპია საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში	11 030 ევრო და 8 762 ლარი	11 030 ევრო სხივური თერაპიისა (თურქეთი) და 3314 ლარი ქიმიოთერაპიისათვის (საქართველო)
17	9 წლის	მამრ.	მკერდუკანა ჯირკვლის ქირურგიული ამოკვეთა (თიმექტომია) ოპერაციის შემდგომი თიმომის დიაგნოსტიკური გამოკვლევით მიასთენია გრავის შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით	18 000 ევრო	8 406 ევრო (გერმანია)
18	10 წლის	მამრ. შშმ ბავშვი	მწვავე პრომიელოციტური ლეიკემია - პაციენტი იმყოფება იტალიაში ქალაქ ვერონის კლინიკაში, 2014 წელს მთავრობის დაფინანსებით ემზადებოდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისათვის, თუმცა დონორის მოსაძიებლად დამატებითი თანხა გახდა საჭირო	105 000 ევრო	30 000 ევრო (იტალია)
19	11 წლის	მდედ.	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ლოკალიზაციის იუნგის სარკომა. ქირურგიული ოპერაცია საზღვარგარეთ - რეზიდუალური სიმსივნური მასის რეზექცია შემდგომი პროთეზირებით. ქიმიოთერაპია საქართველოში	20 000 ევრო და 7903 ლარი	2 000 ევრო (საფრანგეთი) და 7903 ლარი ქიმიო-თერაპიისათვის (საქართველო)
20	13 წლის	მდედ.	ნათხემის მარჯვენა ჰემისფეროს სიმსივნე - ნეიროქირურგიული ოპერაცია. პაციენტს რამოდენიმე ნეიროქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა თურქეთში. დაავადების რეციდივის გამო რეკომენდირებული იყო იმავე კლიინიკაში ოპერირება და მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრა	39 350 აშშ დოლარი	31 350 აშშ დოლარი (თურქეთი)
21	14 წლის	მამრ.	იუნგის სარკომა - ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში	75 000 აშშ და 1372 ლარი	54 743 აშშ დოლარი (თურქეთი), 718 ლარი მგზავრობისა და 1372.50 ლარი ქიმიოთერაპიისათვის (საქართველო)
22	14 წლის	მდედ.	ჰოჯკინის ლიმფომა - სხივური თერაპია	6540 ევრო	3800 ევრო (თურქეთი)
23	17 წლის	მამრ.	თავის ტვინის პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე - სხივური თერაპია	5 000 ევრო	5 000 ევრო (თურქეთი)
24	18 წლის	სოციალურად დაუცველი	ჰოჯკინის ლიმფომა - III B სტადია - ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის წინა დიაგნოსტიკა და მკურნალობა	135 000 აშშ	35 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
25	20 წლის	მდედ.	მწვავე მიელოიდური ლეიკემია - რეციდივის გამო ესაჭიროებოდა დონორი ღეროვანი უჯრედების გადანერგვა საზღვარგარეთ	180 000 აშშ დოლარი	156 000 აშშ დოლარი (თურქეთი). თავდაპირველად დაგეგმილი აუტოლოგიურის ნაცვლად ჩატარდა ალოგენური ტრანსპლანტაცია
26	21 წლის	მდედ.	ჰოჯკინის ლიმფომა - ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია	55 000 აშშ დოლარი და ლარი	45 000 აშშ დოლარი ტრანპლანტაცია (თურქეთი) და 247 ლარი ქიმიოთერაპიისათვის (საქართველო)

მკურნალობა საქართველოში (ქიმიოთერაპიის, ონკო-ქირურგიის, მაღალტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიის თანადაფინანსება საყოველთაო ჯანდაცვის ლიმიტის ფარგლებს ზემოთ)					
27	1 წლის	მდედ.	ნეირობლასტომა, რეტროპერიტონეალური - ქიმიოთერაპია და მაგნიტურ რეზონანსული კვლევა	2 458 ლარი	2 458 ლარი
28	1 წლის	მდედ.	ნეირობლასტომა - მაგნიტურ რეზონანსული კვლევა კონტრასტით	570 ლარი	570 ლარი
29	1 წლის	მამრ.	დაუზუსტებელი გენეზის პანკრეასის სიმსივნე	10 755 ლარი	2 149 ლარი
30	2 წლის	მდედ.	ყვითრის პარკის სიმსივნე - ტერატომა	10 983 ლარი	8 930 ლარი
31	2 წლის	მდედ. შშმ ბავშვი	ნეირობლასტომა, მეოთხე სტადია	19 560 ლარი	9 032 ლარი
32	2 წლის	მამრ.	წინამდებარე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე - ტერატომა	12 328 ლარი	10 532 ლარი
33	2 წლის	მამრ.	მრგვალუჯრედიანი სარკომა	1116 ლარი	991 ლარი
34	3 წლის	მამრ.	თავის ტვინის ღეროს გლიომა - ვენტრიკოპერიტონეალური შუნტირება.	22 050 ლარი	5 905 ლარი
35	3 წლის	მდედ. შშმ ბავშვი	ვილმსის სიმსივნე პულმონური მეტასტაზებით	11 637 ლარი	5 814 ლარი
36	3 წლის	მდედ.	გერმინაციული უჯრედების შერეული სიმსივნე	6340 ლარი	4 513 ლარი
37	4 წლის	მდედ. შშმ. სოც. დაუცველი	შუასაყარის განგლიონეიორობლასტომა	4 909 ლარი	3 574 ლარი
38	4 წლის	მდედ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია (მაღალტექნოლოგიური კვლევა)	180 ლარი	180 ლარი
39	4 წლის	მამრ.	მარჯვენამხრივი ვილმსის სიმსივნე	2 720 ლარი	1 502 ლარი
40	4 წლის	მამრ.	მარცხენამხრივი ნეფრობლასტომა მე-4 სტადია	1752 ლარი	917 ლარი
41	4 წლის	მამრ.	ჰეპატობლასტომა	4779 ლარი	3216 ლარი
42	5 წლის	მამრ.	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა	4334 ლარი	2 282 ლარი
43	6 წლის	მამრ.	ნეფრობლასტომა - თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნე	15 881 ლარი	5 103 ლარი
44	6 წლის	მამრ.	ინტრა-ვენტრიკულური ახალწარმონაქმნი მეოთხე პარკუჭში	11 549 ლარი	6 380 ლარი
45	6 წლის	მდედ. შშმ ბავშვი	იუნგის სარკომა	4 530 ლარი	2 853 ლარი
46	7 წლის	შშმ ბავშვი	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა მარცხენა ყბაყურა ჯირკვლის პროექციაზე	4 373 ლარი	3 038 ლარი
47	7 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - სხივური თერაპია	7600 ლარი	1470 ლარი
48	9 წლის	მამრ.	რეტროპერიტონეუმის სივრცის პერიფერიული ნერვის გარსის ავთვისებიანი სიმსივნე	1125 ლარი	457 ლარი

49	9 წლის	მდედ.	რეტინობლასტომა - ქირურგიული ოპერაციის თანადაფინანსება (ენუკლეაცია პროტეზირებით)	2 563 ლარი	743 ლარი
50	9 წლის	მდედ.	პოსტოპერაციული თერაპია (მედიკამენტი)	55 ლარი	55 ლარი
51	11 წლის	მამრ. შშმ ბავშვი	ნათხემის ჭიის და მე-4 პარკუჭის მიდამოს მედულობლასტომა	2 497 ლარი	1 830 ლარი
52	11 წლის	მამრ.	გულმკერდის კედლის ხონდროსარკომა გართულებული ქვედა პარაპარეზით II	3 572 ლარი	2 905 ლარი
53	11 წლის	მამრ.	თვალბუდის ავთვისებიანი სიმსივნე	2 450 ლარი	1392 ლარი
54	14 წლის	მამრ.	ჰოჯკინის ავადმყოფობის შერეული უჯრედოვანი ვარიანტი	875 ლარი	875 ლარი
55	15 წლის	მამრ. შშმ ბავშვი	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოგენური სარკომა მეტასტაზებით ფილტვებში. IV st II კლ/ჯგ; პროგრესირება თავის ტვინის Mts დაზიანება	4 309 ლარი	2975 ლარი
56	15 წლის	მდედ.	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოსარკომა - ქიმიოთერაპია და ქირურგიული ოპერაცია (ძვლის პროტეზირება)	37 222 ლარი	30 682 ლარი
57	15 წლის	მამრ.	მარცხენა ბარძაყის ძვლის ავთვისებიანი სიმსივნე სავარაუდოდ იუნგის სარკომა	1 486 ლარი	1 486 ლარი
58	15 წლის	მამრ.	თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე	8 786 ლარი	6 268 ლარი
59	15 წლის	მამრ.	მარჯვენა საფეთქლის წილის მოცულობითი წარმონაქმნი - ნეიროქირურგიული ოპერაცია	5700 ლარი	2061 ლარი
60	17 წლის	მამრ.	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოგენური სარკომა, პროგრესირება, ფილტვების mts დაზიანება. IV სტადია	4 807 ლარი	3 473 ლარი
61	18 წლის	მამრ.	ლიმფობლასტური ლეიკემია - სხივური თერაპია და ქიმიოთერაპია	21 725 ლარი	18 725 ლარი
62	18 წლის	მდედ.	მარჯვენა ორბიტის რაბდომიოსარკომა	1 125 ლარი	591 ლარი
63	18 წლის	მამრ.	მარჯვენა სათესლე ჯირკვლის ემბრიონალური კარცინომა	2 371 ლარი	1 303 ლარი
64	18 წლის	მამრ.	მწვავე მიელოიდური ლეიკემია	9 379 ლარი	8 129 ლარი
65	18 წლის	მამრ.	თავის ტვინის ინტრატექტორული ნაწილის უცნობი ქცევის სიმსივნე	5 600 ლარი	1 431 ლარი
66	18 წლის	მამრ.	ხერხემლის გულმკერდის მიდამოს სიმსივნური დაზიანება - ქირურგიული ოპერაცია	4825.00	2425.00
67	19 წლის	მამრ. სოც. დაუცველი	მარჯვენა შუბლის მიდამოს კავერნომა, მეორადი ეპილეფსიური სინდრომით.	6 000 ლარი	2 574 ლარი
68	20 წლის	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია	2 500 ლარი	1 250 ლარი
69	21 წლის	მდედ.	მარცხენა თხემის წილის ექსტრააქსიალური სიმსივნე, გლიობლასტომა IV	619 ლარი	123 ლარი
70	21 წლის	მამრ.	ჰოჯკინის ლიმფომა	1 125 ლარი	591 ლარი

თითოეული პაციენტის დაფინანსება მხოლოდ თქვენი დახმარებით გახდა შესაძლებელი. კიდევ ერთხელ სოლიდარობის ფონდი თითოეული ბავშვისა და ოჯახის სახელით გიხდით მადლობას ფასდაუდებელი დახმარებისათვის!

სახელმწიფო ჯანდაცვით პროგრამებთან და მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებასთან ერთად დღეისათვის სოლიდარობის ფონდში მობილიზებული თანხებით **21 წლის ასაკის ჩათვლით ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების დაფინანსების პრობლემა საქართველოში პრაქტიკულად გადაჭრილია.**

თუმცა აღნიშნული მიღწევის შენარჩუნებისა და სოლიდარობის ფონდის პროგრამების გაფართოვებისათვის აუცილებელია საჯარო და კორპორატიული სექტორის თანამშრომელთა კიდევ უფრო მეტი ჩართულობა.

ჩვენი დახმარება ბევრად უფრო მეტ ბავშვსა და ოჯახს სჭირდება და ერთიანი ძალისხმევით იმედი გვაქვს, რომ არც ერთი მძიმე სენით დაავადებული ბავშვი დახმარების გარეშე არ დაგვრჩება.

აქვე გთხოვთ თქვენს მხარდაჭერას აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებაში, რათა კიდევ უფრო მეტი კოლეგა ჩაგვერთოს საჯარო სექტორიდან და ფონდმა შეძლოს პროგრამების გაფართოვება როგორც 22 წელზე უფროსი ონკოლოგიური პროფილის პაციენტებისათვის ასევე შეზღუდული შესაძლებლობებისა და იშვიათი დაავადებების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის.

საუკეთესო სურვილებით,

საქართველოს სოლიდარობის ფონდის ადმინისტრაცია